eSIM-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია

- eSIM-ის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მხარდაჭერის მქონე აპარატებზე. გთხოვთ, პირველ რიგში შეამოწმოთ, აქვს თუ არა თქვენს აპარატს შესაბამისი მხარდაჭერა და მხოლოდ ამის შემდგომ გააგრძელოთ აქტივაციის პროცედურა.
- eSIM-ის აქტივაციისთვის აუცილებელია, თქვენს აპარატს ჰქონდეს ინტერნეტთან წვდომა.
- eSIM-ის აქტივაციის საფასური შეადგენს 10 ლარს, დღგ-ის ჩათვლით.
- საფასურის გადახდის შემდგომ, მოწყობილობის ეკრანზე, რომლის საშუალებითაც სარგებლობთ პორტალით, გენერირდება QR კოდი.
- აქტივაციისათვის აპარატი უნდა დააყენოთ შესაბამის რეჟიმში:
  - iPhone-ის შემთხვევაში: Settings ➲ Cellular ➲ Add Cellular Plan ➲ ასკანერებთ პორტალზე დაგენერირებულ QR კოდს ➲ eSIM-ის წარმატებით ჩამოტვირთვის შემთხვევაში, აპარატი მოგთხოვთ სიმის ტელეფონში დამატებას. შემდეგი ეტაპი ➲ Add Cellular Plan ➲ დადასტურების შემდეგ აპარატი დაიწყებს ამ სიმის აქტივაციას. აქტივაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში eSIM-ი დაიჭერს ქსელს;
  - Android-ის შემთხვევაში: Settings ➲ Connections ➲ Sim Card Manager ➲ Add Mobile Plan ➲ Add Using QR Code ➲ ასკანერებთ პორტალზე დაგენერირებულ QR კოდს და მიჰყევით ინსტრუქციას.

  აქტივაციის ილუსტრირებული ვერსია იხილეთ აქ.
- eSIM-ის აქტივაციის შემთხვევაში, არსებული ფიზიკური სიმ-ბარათი (იგივე ნომერი) ითიშება.
- დაგენერირებული QR კოდი შესაძლებელია გააქტიურებულ იქნას მხოლოდ ერთხელ.
- აქტივაციის 5 წარუმატებელი მცდელობის შემდგომ თქვენ მიერ გააქტიურებული eSIM იბლოკება და მისი განახლება შეუძლებელი იქნება.
- გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- ერთ მოწყობილობაში, ფიზიკურ სიმ-ბარათი ერთად, შესაძლებელია რამდენიმე eSIM-ის გააქტიურება (რაოდენობა დამოკიდებულია მოწყობილობაზე), თუმცა აქტიური შეიძლება იყოს მხოლოდ 2 - ფიზიკურ სიმ-ბარათი და eSIM-ი ან ორი eSIM-ი ერთდროულად.
- ერთი ნომრიდან საუბრის დროს მეორე ნომერი გათიშულია. ლოდინის რეჟიმში ორივე ნომერზე შესაძლებელია დარეკვა.
- თუ ტელეფონიდან მოხდება ჩამოტვირთული eSIM-ის წაშლა, ხელმეორედ მისი ჩამოტვირთვა შეუძლებელია. eSIM-ის დაზიანების/წაშლის შემთხვევაში, eSIM-ის შეცვლის ღირებულება - 5 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
- ისევე როგორც ფიზიკურ სიმ-ბარათს, eSIM-საც აქვს პინ კოდით დაცვა. თუ პინ კოდით დაცვა გააქტიურებულია, სიმ-ბარათი დაიბლოკება პინ კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში. ასეთ დროს დაბლოკილი სიმ-ბარათის გააქტიურება შესაძლებელია PUK კოდით. PUK კოდის ათჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში eSIM იბლოკება და მისი აღდგენა შეუძლებელია.